სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 3 ივლისის №124/01-01 ბრძანებების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 3 სექტემბერი, 2020 წელი 12:00 სთ

სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. ბეჟან თუთბერიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაია ბუხსიანიძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. კარლო აქიმიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

4. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა;
5. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ბ.თუთბერიძის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსანტის შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების I ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის

ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017).

გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასოცირებული პროფესორის** 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა **ზურაბ ლებანიძემ;**

შეფასების **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან") მიხედვით კონკურსანტმა, **ზურაბ ლებანიძემ,** წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი კომისიის მიერ შეფასდა კრიტერიუმით - **„მაღალი". III** („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა") **და IV** („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა") **კატეგორიებში** კონკურსანტმა ასევე მიიღო **მაღალი** შეფასება. კონკურსანტს მიენიჭა პრედენტენტის სტატუსი და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა კითხვა-პასუხის სახით. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავად უპასუხა. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის ვაკანსიასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის სამივე წევრმა ერთხმად (მომხრე -3, წინააღმდეგი -0) დაუჭირა მხარი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე **ზურაბ ლებანიძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნას თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრის ასოცირებული **პროფესორის** თანამდებობაზე

   ზურაბ ლებანიძე

2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

ბეჟან თუთბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

მაია ბუხსიანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

კარლო აქიმიძე (კომისიის მდივანი)